დანართი

სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. დეპარტამენტი არის სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სტრუქტურული ქვედანაყოფი.

3. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) სამართლებრივი აქტებით, ცენტრის დებულებით, წინამდებარე დებულებით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

4. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ცენტრის გენერალური დირექტორისა და მოადგილის წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) გადამდებ (ნორმატიული აქტით განსაზღვრულ) დაავადებათა ერთიანი ეპიდზედამხედველობა ეროვნულ დონეზე, ეპიდაფეთქებების, ეპიდემიების კვლევა;

ბ) განხორციელებული კვლევების ერთიანი ბაზის წარმოება;

გ) აივ ინფექცია/შიდსის, ჰეპატიტების, სგგდ და ტუბერკულოზის ზედამხედველობის განხორციელება;

დ) ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების ეროვნული კოორდინაცია კომპეტენციის ფარგლებში;

ე) იმუნიზაციის პროცესების დაგეგმვა და მართვის კოორდინაცია ეროვნულ დონეზე;

ვ)'' ცივი ჯაჭვის'' პრინციპების დაცვა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში , საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებისა და სხვა დინტერებულ პირების/დაწესებულებებისათვის მეთოდურ-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;

თ) საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშგებისათვის მასალებისა და ანგარიშების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ი) ცენტრის მიერ განხორციელებული სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;

კ) კომპეტენციის მიხედვით ტრეინიგების, შეხვერებისა და კონფერენციების ორგანიზება ან მონაწილეობის მიღება.

მუხლი 3. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა.

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.

2. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და გენერალური დირექტორის კურატორი მოადგილის წინაშე.

3. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;

გ) ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის სამმართველოების მუშაობას;

დ) ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის სამმართველოებსა და დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ე) თვალყურს ადევნებს და ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

ვ) აკონტროლებს გენერალური დირექტორის ბრძანებების, მითითებების, დავალებების, გენერალური დირექტორის მოადგილეების დავალებების შესრულებას დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ;

ზ) აკონტროლებს დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას;

თ) ავიზებს დეპარტამენტში და ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, ცენტრში მომზადებულ დოკუმენტების პროექტებს და წერილებს;

ი) წარუდგენს გენერალურ დირექტორს/გენერალური დირექტორის კურატორ მოადგილეს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

კ) ორგანიზებას უწევს დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის უფლებების განხორციელებასა და მოვალეობების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს გენერალურ დირექტორს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;

ლ) წარუდგენს გენერალურ დირექტორს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

მ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის უფლებებისა და მოვალეობების შესასრულებლად;

ნ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ო) შუამდგომლობს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

პ) ასრულებს გენერალური დირექტორისა და მისი მოადგილეების ცალკეულ დავალებებს;

რ) ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

4. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის ან მის მიერ დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსის უფლებამოსილებას ახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი.

5.დეპარტამენტში შემავალ სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი.

6.სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამმართველოს საქმიანობას;

ბ) განიხილავს და თანამშრომელთა შორის ანაწილებს სამმართველოში შემოსულ დოკუმენტაციას;

გ) ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს თანამშრომელთა შორის, უზრუნველყოფს სამმართველოს მუშაობის ორგანიზაციას, პასუხისმგებელია თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვაზე;

დ) კომპეტენციის ფარგლებში ავიზებს სამმართველოში, ასევე, დეპარტამენტში და ან ცენტრში მომზადებულ დოკუმენტების პროექტებს და წერილებს;

7. სამმართველოს უფროსი სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

8. სამმართველოს უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამმართველოს უფროსის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამმართველოს უფროსის უფლებამოსილებას ახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამმართველოს ერთ-ერთი თანამშრომელი.

მუხლი 4. დეპარტამენტის ქვედანაყოფები და მათი კომპეტენციები

1. დეპარტამენტი მოიცავს შემდეგ ქვედანაყოფებს:

ა) აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, სგგდ და ჰეპატიტების სამმართველო;

ბ) მართვადი, რესპირატორული და ზოონოზიური დაავადებების სამმართველო;

გ)ნოზოკომიური, აღმოცენებადი, წყლით და საკვებით გადაცემადი დაავადებების და პარაზიტოლოგიის სამმართველო;

დ) იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის და მონიტორინგის სამმართველო;

ე) ვაქცინების ექსპედიციის და ცივი ჯაჭვის სამმართველო;

2. დეპარტამენტში სამსახურს ეწევიან:

ა) დეპარტამენტის უფროსი;

ბ) სამმართველოს უფროსი;

გ) მთავარი სპეციალისტი;

დ) უფროსი სპეციალისტი;

ე) სპეციალისტი.

ვ)დამხმარე სპეციალისტი

3. დეპარტამენტში მუდმივ და ან არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება მიღებულ იქნეს შტატგარეშე თანამშრომელი.

4. დეპარტამენტის თანამშრომლებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის გენერალური დირექტორი.

5. დეპარტამენტის თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, ცენტრის დებულებით, ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობით და საქართველოს კანონმდებლობით.

6. დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება ცენტრის საშტატო განრიგით, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს ცენტრის გენერალური დირექტორი.

7. აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, სგგდ და ჰეპატიტების სამმართველოს ფუნქციებია:

1. ტუბერკულოზის, სგგდ, აივ/შიდსის და ჰეპატიტების მართვის სახელმწიფო პროგრამების ეპიდზედამხედველობის კომპონენტის კოორდინაცია;

2.საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობა პროგრამული, ეპიდზედამხედველობის და მიზნობრივი კვლევების მიმართულებით;

3. ეპიდზედამხედველობის და პროგრამულ საკითხებზე ტრეინინგების ჩატარება;

4. აივ ინფექცია/შიდსის, ჰეპატიტების, სგგდ და ტუბერკულოზის საინფორმაციო სისტემის (ფორმები, ბაზები და სხვ.) განახლება;

5.ეროვნული მეთოდური რეკომენდაციების და ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება/განახლებაში მონაწილეობა;

6. აივ ინფექცია/შიდსთან, ვირუსულ ჰეპატიტებთან, სგგდ და ტუბერკულოზთან დაკავშირებული კვლევების დაგეგმვა, განხორციელება და მონაწილეობა პრევენციული ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით;

7. სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისათვის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა სპეციალიზებულ სამედიცინო ცენტრებთან;

8. ანგარიშების მომზადება სახელმწიფო, საერთაშორისო, არასამთავრობო და სხვა დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირებისათვისდა შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად;

9 არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დკსჯეც-ის ლაბორატორიული სიმძლავრეების გამოყენების საშუალებით სგგდ, აივ ინფექციის და ჰეპატიტების პრევალენტობის განმსაზღვრელ კვლევებში მონაწილეობა;

10. სამეცნიერო ხასიათის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა;

11. აივ ინფექცია/შიდსის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ამუშავებისთვის შესაბამისი სამუშაოების განხორციელება და რეკომენდაციების შემუშავება;

12. მოსახლეობის განათლების ამაღლების მიზნით თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

13. განხორციელებული კვლევების ერთიანი ბაზის შექმნა.

8. მართვადი, რესპირატორული და ზოონოზიური დაავადებების სამმართველოს ფუნქციებია:

1. მართვადი, რესპირატორული და ზოონოზური დავადებების ეპიდზედამხედველობა (რუტინული სტატისტიკური, სენტინელური), რაც მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

ა) მონაცემების რუტინული/სასწრაფო ანალიზი და შეფასება;

ბ) დზეის–ის ადმინისტრირება და მონიტორინგი;

გ) დაავადებათა ინდივიდუალური შემთხვევების და აგრეგირებული მონაცემთა დამუშავება დზეის–ში;

დ) საველე კვლევების ორგანიზება/ჩატარება/მონაწილეობის მიღება;

ე) საკონტროლო ღონისძიებების შეფასება/დაგეგმვის ხელშეწყობა/გატარება;

ვ) ეპიდემიის და ეპიდაფეთქების გამოვლენა;

ზ) ეპიდსიტუაციის პროგნოზირება;

თ) ეპიდზედამხედველობის განხორციელების მონიტორინგი;

ი) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პერსონალის ტრეინინგი;

კ) სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნა, მომზადება და რედაქტირებაში მონაწილეობა;

ლ) საერთაშორისო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

მ) დაავადებებზე ზედამხედველობის ახალი სისტემის/ების შემუშავება და/ან არსებულის გაძლიერება;

ნ) საინფორმაციო სისტემების (ფორმები, ბაზები და სხვ.) გადახედვა/განახლება;

ო) სარეგისტრაციო ჟურნალების, შეტყობინება/ანგარიშგების ფორმების წარმოება, ანგარიშგების პროცედურებზე მონიტორინგი, საჭიროებისას ადგილზე სწავლება;

პ) შერჩეულ დაავადებებზე სტრატეგიული და ოპერაციული გეგმის შემუშავება/განახლებაში მონაწილეობა;

ჟ) ეროვნული მეთოდური რეკომენდაციების და ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება/განახლებაში მონაწილეობა;

რ) ყოველთვიური, კვარტალური და წლის შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მომზადება;

ს) ანგარიშის დისემინაცია/უკუკავშირი;

ტ) გადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული კვლევების დაგეგმვა, განხორციელება და მონაწილეობა;

უ) დამხმარე ზედამხედველობის უზრუნველყოფა საყრდენ (სენტინელურ) ბაზებზე;

ფ) პრევენციული ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება;

2. განხორციელებული კვლევების ერთიანი ბაზის წარმოება;

9. ნოზოკომიური, აღმოცენებადი, წყლით და საკვებით გადაცემადი დაავადებების და პარაზიტოლოგიის სამმართველოს ფუნქციებია:

1. ეპიდაფეთქებებისა და ეპიდემიების პერიოდში პროფილური ინფექციებით დაავადებულთა და მათთან კონტაქტში მყოფთა აქტიური გამოვლენისთვის ადგილობრივი სამედიცინო სტრუქტურებისთვის მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა;

2. ეპიდემიური აფეთქებისა და ეპიდემიების გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების შესწავლის უზრუნველყოფა, მათი ეტიოლოგიის ლაბორატორიული დადასტურებისთვის შესაბამისი, ადექვატური ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობა და კომპეტენციის ფარგლებში მათი განხორციელება, ასევე დაავადებულთან კონტაქტში მყოფთა (მ.შ. ინფიცირებულთა) პრევენციისთვის რეკომენდაციების შემუშავება და მათი მიწოდება დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის.

3. საველე კვლევების ორგანიზება, ჩატარება და/ან მასში მონაწილეობის მიღება;

4. რუტინული და საყრდენი ბაზებით ეპიდზედამხედველობის განხორციელება და მიღებული ინფორმაციის ელექტრონული (კომპიუტერული) დამუშავების უზრუნველყოფა;

5. ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის, პრევენციისა და კონტროლის წესების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულებებისთვის ნოზოკომიური ინფექციების ეტიოლოგიის დასადგენად მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების გაწევა და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების ორგანიზების ხელშეწყობა;

6. მსოფლიოს სხვავდასხვა ქვეყნებში მოგზაურობისთვის პროფილურ ინფექციათა შესახებ რეკომენდაციების მომზადება, ეპიდემიურად გავრცელების თვალსაზრისით საშიში ინფექციების მსოფლიოში ეპიდსიტუაციის შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათი მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის;

7. მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პრევენციისთვის სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელების უზრუნველყოფა, ასევე მალარიის ელიმინაციისს სერტიფიცირების მოპოვების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

8. ნოზოკომიური, აღმოცენებადი, წყლითა და საკვებით გადაცემადი და პარაზიტულ დაავადებებთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმწიფო პროგრამათა და საერთაშორისო პროექტების მომზადებაში მონაწილების მიღება და მათი განხორციელების მიზნით სახელმწიფო, საერთაშორისო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის უზრუნველყოფა;

9. პროფილურ გადამდებ დაავადებათა შესახებ ლექცია-ტრეინინგების ორგანიზება და მათში მონაწილეობის მიღება;

10.განხორციელებული კვლევების ერთიანი ბაზის წარმოება.

10. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის და მონიტორინგის სამმართველოს ფუნქციებია:

1. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ანტიგენებით მოცვის ინდკატორების მონიტორინგი:

ა) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ანტიგენების მიმართ ყოველწლიურად სამიზნე კონტინგენტის განსაზღვრა მომავალი წლისთვის;

ბ) ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებიდან პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მიხედვით, სამიზნე კონტინგენტის სავარაუდო წლიური გეგმის შესახებ მიღებული ინფორმაციის დამუშავება, კორექტირება;

გ) იმუნიზაციის ელექტრონულ საინფორმაციო პროგრამებში (Geovac, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული)მონაცემების შეყვანა/აგრეგირება/მონაცემთა სარწმუნოების გადამოწმება/ანალიზი;

დ) სამოქალაქო რეესტრის და სტატისტიკისის მონაცემების შედარება–კორექტირება წლის ასაცრელ სავარაუდო კონტინგენტთან;

ე) ყოველთვიურად რაიონული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებიდან ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ ანგარიშების მიღება;

ვ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული/მუნიციპალური სამსახურებიდან მიღებული ყოველთვიური ანგარიშების სისწორის და სისრულის შესწავლა/შეფასება;

ზ) თითოეული ანტიგენის მიხედვით მოცვის მაჩვენებლების რუტინული ანალიზი რაიონის და რეგიონის დონეზე პრობლემების გამოვლენის მიზნით;

თ) პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში რეკომენდაციების მომზადება და შესაბამის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებთან უკუკავშირის განხორციელება;

ი) აცრებით მოცვის დონის გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობებისთვის მეთოდური მითითებების შემუშავება და მეთოდურ/პრაქტიკული დახმარება, შემდგომი ქმედებების განსაზღვრა/განხორციელება;

2. უსაფრთხო იმუნიზაციის უზრუნველყოფა და იმუნიზაციისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნება/გაუმჯობესება:

ა) აცრისშემდგომ უჩვეულო/არასასურველ რეაქციებსა და გართულებებზე სასწრაფო შეტყობინების მიღება სამედიცინო დაწესებულებებიდან;

ბ) აცრისშემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენებზე მიღებული სასწრაფო შეტყობინების მიღებიდან (გამოვლენიდან 24 საათში) შემთხვევის ეპიდკვლევის დაწყება, სათანადო ქმედებების განსაზღვრა, დაგეგმვა, განხორციელება შესაბამის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სპეციალისტებთან და ექსპერტთა ჯგუფთან ერთად;

გ) „ცივი ჯაჭვის“ მონიტორინგი ყველა დონეზე (ცენტრალურიდან პჯდ-მდე);

3. ქვეყნის მიერ პოლიომიელიტისაგან თავისუფალი ზონის სტატუსის შენარჩუნების ღონისძიებაში მონაწილეობა:

ა) რაიონებიდან მდდ-ზე აქტიური ზედამხედველობის ყოველთვიური ანგარიშების მიღება/დამუშავება;

ბ) მდდ–ზე სასწრაფო შეტყობინების მიღება სამედიცინო დაწესებულებებიდან;

გ) სასწრაფო შეტყობინების მიღებიდან შემთხვევის ეპიდკვლევის დაწყება, სათანადო ქმედებების გასნაზღვრა, დაგეგმვა და შესაბამისი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სპეციალისტებთან ერთად განხორციელება;

დ) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ბიუროსათვის ყოველკვირეული ინფორმაციის მომზადება და მიწოდების კოორდინაცია მწვავე დუნე დამბლების შესახებ;

ე) პოლიომიელიტი/მწვავე დუნე დამბლების შესახებკონიუქტურის მომზადება და ეპიდზედამხედველობის სისტემის ინდიკატორების მაჩვენებლების ანალიზი;

4. წითელასა და თანდაყოლილი წითურას ელიმინაციის მიზნით, შესაბამისი ვაქცინაციით მოცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;

5. ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით აცრების ნაციონალური და/ან სუბ-ნაციონალური კამპანიების ჩატარების კოორდინაცია:

ა) საორგანიზაციო კომიტეტის/სამუშაო ჯგუფის შექმნა;

ბ) კამპანიის მაკრო- და მიკრო დაგეგმარება და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფა;

გ) სოციალური მობილიზაცია, პროპაგანდა და პრესასთან ურთიერთობა;

დ) მონაწილე ჯანდაცვის დაწესებულებების ხელმძღვანელების და ყველა დონის მედპერსონალის სწავლება/მომზადება;

ე) უსაფრთხო იმუნიზაციის კონტროლი, მათ შორის იმუნიზაციის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენებზე (იშგამ) მონიტორინგი, მძიმე აცრის შემდგომი გართულებების გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და კვლევა;

ვ) კამპანიის მიმდინარეობის კონტროლი და მონიტორინგი, კამპანიის დასრულების შედეგების შეფასება;

6. აცრებით მოცვის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების მიზნით, ეპიდსიტუაციისა და მოცვის დონის გათვალისწინებით, დამხმარე ზედამხედველობა:

ა) დამხმარე ზედამხედველობის დაგეგმვა;

ა.ბ) იმუნიზაციის დამხმარე ზედამხედველობისას სამედიცინო დაწესებულებებში შესაფასებელი საკითხები: დაწესებულებებში რეგისტრაციისა და ანგარიშგების ფორმების არსებობა და წარმოება, ცივი ჯაჭვი და უსაფრთხოება, ვაქცინების ხარჯვა, ინფორმაცია მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფის შესახებ, აცრების გეგმა,ინფორმაცია ჩატარებული აცრების შესახებ, ბავშვთა დანაკარგი, პრობლემების მიზეზები და საჭირო ქმედებების განსაზღვრა და განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) მიღებული შედეგების მიხედვით ანგარიშის მომზადება;

7. მუნიციპალური საზოგადოებროვი ჯანდაცვის სამსახურების, სტაციონარების კლინიცისტებისათვის და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სპეციალისტების ტრენირება იმუნოპროფილაქტიკის საკითხებზე:

ა) თემატიკის განსაზღვრა, ტრეინინგის დაგეგმვა, სატრეინინგო მასალის მომზადება და ტრეინინგების განხორციელება;

8. სათანადო ნორმატიული დოკუმენტების პროექტებისა და რეკომენდაციების შემუშავება ქვეყნის და რეგიონალური სტრატეგიებიდან გამომდინარე.

ა) იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა;

ბ) მრავალწლიანი კომპლექსური გეგმის შემუშავება;

9. პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში ახალი ვაქცინების (კომპონენტების) დანერგვა:

ა) ''ცივი –ჯაჭვის'' მოცულობის შეფასება;

ბ) საჭიროებისდამიხედვით ახალი ვაქცინის დანერგვის ხარჯთეფექტურობის შეფასება;

გ) ტრეინინგების დაგეგმვა/განხორციელება;

დ) საკომუნიკაციო ღონისძიებების დაგეგმვა, შესაბამისი მასალის შემუშავება და დანერგვის კოორდინაცია;

10. ანგარიშების და ინფორმაციის მომზადება სახელმწიფო, საერთაშორისო (GAVI,WHO, UNICEFდა სხვა), არასამთავრობო, და სხვა დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის:

ა) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურ ბიუროში წარსადგენად გაერთიანებული ანგარიშის მომზადება(Joint Reporting Form), რომელიც მოიცავს ინფორმაციას იმუნიზაციით მართვად დაავადებებზე, ვაქცინაციით მოცვაზე, გადამდებ დაავადებებზე და ეპიდაფეთქებებზე;

ბ) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურ ბიუროში წარსადგენად გაერთიანებული ანგარიშის მომზადება საქართველოში პოლიომიელიტის ერადიკაციის შესახებ;

გ) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ ბიუროში წარსადგენად პოლიომიელიტისაგან თავისუფალი ტერიტორიის სტატუსის შესანარჩუნებელი ღონისძიებების ნაციონალური გეგმის მომზადება;

დ) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურ ბიუროში წარსადგენად გაერთიანებული ანგარიშის მომზადება საქართველოში წითელასა და თანდაყოლილი წითურას ელიმინაციის შესახებ;

ე) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში წარსადგენად შემდეგი ინფორმაციის მომზადება:

ე.ა) მომავალი წლის პროგნოზული და დაზუსტებული გეგმა პროფილაქტიკური აცრების ასაკობრივ ჯგუფებსა და ასაცრელ მასალაზე ეროვნული კალენდრის შესაბამისად;

ე.ბ) ანგარიში ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ;

ე.გ) ინფორმაცია ეპიდემიური ჩვენებით ჩატარებული ქმედებების ანალიზის შესახებ;

ე.დ) ინფორმაცია იმუნოპროფილაქტიკის სფეროში ჩატარებული საქმიანობის ანალიზის შესახებ.

11. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა- იმუნიზაციის გაფართოებული პროგრამის მოთხოვნათა შესრულების გაუმჯობესებისა და გაძლიერებისათვის.

12. ადგილობრივ საექსპერტო კომიტეტებთან (ნაციონალური მარეგულირებელი ორგანო, წითელასა და წითურას ელიმინაციის, ვერიფიკაციის ეროვნული კომიტეტი, პოლიომიელიტის ერადიკაციის სასერტიფიკაციო კომიტეტი, იმუნიზაციის ექსპერტთა კომიტეტი, იმუნიზაციის განვითარების ხელშემწყობი კომისია) თანამშრომლობა;

13. იმუნიზაციისადმი პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცება, მოსახლეობის ინფორმირება იმუნიზაციის პროგრამის მნიშვნელობის შესახებ; ვაქცინაციით მოცვის გაზრდის ღონისძიებების გატარება:

ა) ევროპის იმუნიზაციის კვირეულის ჩატარების ორგანიზებაში მონაწილეობა;

ბ) საინფორმაციო კამპანიის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობა ცენტრის შესაბამის სტუქტურებთან ერთად;

14. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული რუტინული ვაქცინების, სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების და შესაბამისი ასაცრელი მასალების წლიური საჭიროების რაოდენობრივი დაგეგვა;

15. რუტინული ვაქცინების, სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების და შესაბამისი ასაცრელი მასალების საჭიროების რაოდენობრივი დაგეგვა, განაწილება და ანგარიშების მიღება, მუნიციპალური სჯ ცენტრების მეშვეობით.

11. ვაქცინების ექსპედიციის და ცივი ჯაჭვის სამმართველოს ფუნქციებია:

1. ასაცრელი ვაქცინების, ანტირაბიული ვაქცინის/იმუნოგლობულინის და სტრატეგიული შრატების მიღება, შენახვა, განაწილება ''ცივი ჯაჭვის'' პირობების დაცვით რეგიონალურ/რაიონულ სჯდ ცენტრებამდე;

2. ''ცივი ჯაჭვის'' აპარატურა - ინვენტარის მიღება, შენახვა განაწილება;

3. ჰუმანიტარული და სახელმწიფო შესყიდვებით შეძენილი ვაქცინების, სახარჯი მასალებისა და ''ცივი ჯაჭვის'' აპარატურა – ინვენტარის შემოსატანად, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და საბაჟო პეოცედურების განხორციელება;

4. გაცემული მატერიალური ფასეულობების შესახებ ანგარიშების წარდგენა ცენტრის ფინანსური სამსახურებისა და დონორი ორგანიზაციებისთვის;

5. '' ცივი ჯაჭვის'' მონიტორინგის გახორციელება რეგიონალურ/რაიონული სჯდ სამსახურებზე და აპარატურა – ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება.